ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲫᲕᲔᲚᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 98 (20488) — ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ 67 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲔᲓᲘ

ᲓᲦᲔᲡ, 20 Ა�პᲠᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ 67 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲓᲐᲜ. ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲜᲔᲚᲖᲔ ᲛᲝᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲐᲦᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲓᲔᲚᲘᲡᲐ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲧᲣᲠᲐᲦᲓᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲜᲪᲔ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲡ�პᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲘᲞᲧᲠᲝᲑᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲘᲐᲠ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ-ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ. ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲛᲐᲮᲐᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲘ 6 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡᲐ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲐᲛ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲦᲛᲐᲤᲠᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲯᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲐᲣᲗᲕᲘᲡᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲘᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲖᲔ.

ᲐᲛ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲪᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲠᲘᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲯᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲚᲝ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲝᲮᲕᲝᲜᲗᲐ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲓ?

ᲐᲮᲚᲐ ᲣᲞᲐᲠᲘᲒᲔᲚᲘᲡᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲓᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲯᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲣᲑᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲣᲬᲝᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲣᲗᲕᲘᲡᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲠᲝ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Მ. ᲘᲐᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ.

ᲛᲘᲔᲡᲚᲐᲛᲔ ᲠᲐ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ, Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲛᲐ ᲮᲐᲡᲐᲗᲡᲛᲝᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲗᲣ ᲠᲐᲝᲓᲔᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲠᲗᲐ ᲒᲐᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲫᲘᲚᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑ

მაქსიმალური ორგანიზებულობითა და პასუხისმგებლობით

— **ის**, რომ ამ დღეებში კოლექტივის შრომის რიტმი არ დარღვეულა, სულაც არ ნიშნავს, თითქოს ყველაფერი რიგზე გვქონდეს. ჩვენი საწარმოო გაერთიანების მშრომელთა სოციალური სფეროს დღევანდელი დონე საერთო აღიარებით ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს შორის, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია. განსაკუთრებით სუსტად ვფლობთ ადამიანებთან მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, რაც, როგორც ჩანს, მეტ-ნაკლებად საერთო ნაკლია, რომლის სავალალო შედეგები თვალნათლივ დაგვანახა თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ. ახლა სულ სხვა ახალგაზრდობა, განათლებული, საკუთარ ძალებში ღრმად დარწმუნებული, გარდაქმნის რთულ სიტუაციებში გარკვეული რევოლუციური თაობა მოდის. უნდა გამოვნახოთ მასთან ახლოს მისვლის, მისთვის აუცილებელი სულიერი საზრდოს მიტანის ხერხები... დაახლოებით ასეთ საუბარს შევესწარით „საქქაღალდმრეწვის“ რესპუბლიკური გაერთიანების სხდომათა დარბაზში.

გენერალური დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ოთარ ფაცაცია და გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი თენგიზ ჯიქია მორიგ თათბირს ატარებდნენ გაერთიანებაში შემავალი საწარმოების, საამქროების ხელმძღვანელებთან, პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან, ესაუბრებოდნენ მათ უკანასკნელ დღეებში რესპუბლიკაში მომხდარ ამბებზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებზე...

ქართველ მექაღალდთა მრავალათასიანი კოლექტივი რესპუბლიკისათვის ამ მძიმე და ტრაგიკულ დღეებში შეუფერებლად და გამართულად მუშაობდა.

მან პირველი კვარტალის სახელმწიფო დავალება 101,9 პროცენტით შეასრულა. გამოშვებულია 121 ათასი მანეთის ზეგეგმითი სახალხო მოხმარების საგნები, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,3 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფომ მიიღო 2,9 მილიონი კვადრატული მეტრი ქაღალდი, 50 ტონა მუყაო, 1264 ათასი კვადრატული მეტრი გოფრირებული მუყაოს ყუთები და სხვა ასორტიმენტის პროდუქცია.

ამჟამად გაერთიანების სამრეწველო დანაყოფები სტაბილურად შრომობენ. რაიმე შეფერხება არ ყოფილა თბილისის ქაღალდის ფაბრიკაში. აპრილის განვლილ პერიოდში ყველა საამქრო და სტრუქტურული დანაყოფი დაგეგმილი გრაფიკის გასწვრივით მუშაობდა. უკვე გამოშვებულია 30 ათასი მანეთის ზეგეგმითი სასაქონლო პროდუქცია. ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს როგორც სამრეწველო დანიშნულების, ისე სოციალურ-კულტურული და კომუნალური ობიექტების მშენებლობაზე, გრაფიკს უსწრებენ მუყაოს, ქაღალდის, სახალხო მოხმარების საგნების, გოფროტარის მწარმოებელი საამქროები, თბილისის ქაღალდის ფაბრიკა...

— ახლა მთავარია 9 აპრილს თბილისში ფატრიალებული ტრაგედიის შედეგად მიღებული ტრავმის რამდენადმე მაინც განელება, — თქვა ჩვენთან საუბარში ო. ფაცაციამ. — უდანაშაულო და უმწეო ადამიანების სისხლი ორავის არ შერჩება. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ყველაფერი გაირკვევა და ყველას სათანადოდ მიეზღვება. ახლა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა და, ვით უფრო, გრძნობათა დაუოკებლობა სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს. ძალა და ენერგია უნდა გავაორკეცოთ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ შრომითი რიტმიდან არ ამოვვარდეთ, რაც შეიძლება ჩქარა დავფაროთ აპრილის პირველი ნახევრის მშფოთვარე დღეებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი.

ვაჟა ჩაჩიბაია.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე

სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობაზე რომ გადავიდა, საავტომობილო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანამ“ მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობის, საჩარხე პარკის შეცვლის ღონისძიებანი განახორციელა. სამოტორო კორპუსისათვის იაპონიის „მაიაკავას“ ფირმის აგრეგატები შეიძინა. ყოველივე ამან საწარმოს შესაძლებლობა მისცა გაეუმჯობესებინა ძირითადი პროდუქციის — ჩაის საკრეფი მანქანებისა და ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანის ოცდაორი სახეობის მანქანის, აგრეთვე ექვსი ცხენის ძალის სიმძლავრის შიდაწვის ძრავების ხარისხი, რომლებიც იტალიის ფირმა „აკმეს“ ლიცენზიით გამოდის.

წელს ქარხანა სოფლისათვის 11 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.

სურათებზე: საამწყობო საამქროში; ძრავების საცდელი სტენდის ოპერატორი მერაბ ყირმისაშვილი (ზევით).



საქინფორმის ფოტო.

გაიაფდება ბაზარი?

რესპუბლიკის რამდენიმე მახვილი სამრეწველო ცენტრისა და რაიონის საკოლმეურნეო ბაზრებში ფასების ამსახველ მორიგ ცხრილთან ერთად დღეს მკითხველებს დაპირებისამებრ ვთავაზობთ იქაური ფასების სამსახურების ხელმძღვანელთა მოკლე კომენტარებს იმის თაობაზე, თუ რა კეთდება და რის გაკეთებას აპირებენ ადგილებზე მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

თბილისგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. რუხაძე:

ქალაქის ბაზრებში მწვანილის სიძვირე ძირითადად განაპირობა დიდთოვლობამ და ძლიერმა ქარებმა, რამაც საშუალება არ მისცა მეურნეობებს თბილისისათვის მიეწოდებინათ საჭირო ასორტიმენტისა და რაოდენობის მწვანილი.

კარტოფილის სიძვირე განაპირობა იმან, რომ მის დამზადებაში არსებული სიძნელეების გამო პირველ კვარტალში გრაფიკით გაფალისწინებული 10500-ის ნაცვლად მოსახლეობას მივაწოდეთ მხოლოდ 6180 ტონა კარტოფილი. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით უახლოეს დღეებში პოლონეთიდან უფრო ინტენსიურად შემოვზიდავთ და ქალაქის მაღაზიებში გაყიდით კარტოფილს, რაც, ვიმედოვნებთ, საგრძნობლად შეამცირებს მის ფასს თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში.

რაც შეეხება სტაფილოს, კომბოსტოსა და ვაშლს, ისინი, მართალია, საჭირო რაოდენობით აქვთ თბილგრომრეწვის მაღაზიებს, მაგრამ, სამწუხაროდ, დაბალი ხარისხისაა და ამის გამო მომხმარებელი უფრო მეტად ბაზარს ეტანება. საერთოდ ხარისხი კვლავ რჩება სახელმწიფო ვაჭრობის მტკივნეულ პრობლემად, რის გამოც ხილბოსტნეულის მაღაზიები ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ გაუწევენ ბაზარს ქმედითს კონკურენციას.

თბილისის აგროსამრეწველო კომიტეტი საქართველოს სახაგრომრეწვის ხილბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებისა და გადამუშავების მთავარ სამმართველოსთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ანდრიბავა:

აფხაზეთის აგროსამრეწველო გაერთიანების სისტემაში შემავალ მეურნეობებში ხილბოსტნეულს, ძირითადად იჯარული მეთოდით აწარმოებენ. ამჟამად მიღებულია ზომები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის თესლით, სასუქით და ჰერბიციდებით უზრუნველყოფისათვის. ამით შესაძლებელი გახდება ოთხას ჰექტარზე ბოსტნეულის ინტენსიური ტექნოლოგიით მოყვანა.

ბოსტნეულის კულტურები წლეულს მინიმუმ 1500 ჰექტარზე დაირგება და დაითესება, სიდანაც ნორმალური მოვლის პირობებში მიღებული იქნება საგეგმო ბოსტნეულის 80-85 პროცენტი.

მაგრამ ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელებით მაინც ვერ შეეძლებთ ბაზრის სერიოზულ კონკურენციას, თუ დროულად და სრულად არ მოგვაწოდეს ფონდით გათვალისწინებული ბოსტნეული. არადა, ამ მხრივ ბევრი სიძნელეა.

სარეალიზაციო ბოსტნეულის ასორტიმენტისა და რაოდენობის გაზრდის მიზნით ხილბოსტანგაჟრობის ორ მაღაზიაში დანერგილია ექსპერიმენტი — ისინი სამეურნეო ანგარიშით მუშაობენ, ამან უკვე მოგვცა დადებითი შედეგები. ამასთანავე ამ მაღაზიებში პროდუქცია გაცილებით იაფია, ვიდრე საკოლმეურნეო ბაზრებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიებში. განზრახული გვაქვს აგრეთვე სოხუმის ხილბოსტნეულის რამდენიმე მაღაზიის იჯარაზე გადაყვანა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელშეკრულებო ფასებში შესყიდვის უფლებით. ამასთანავე აქაური ფასები არ უნდა აღემატებოდეს სამომხმარებლო კოოპერაციის ობიექტების ფასების 60 პროცენტს.

ჩვენი მიზანია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა გეგმასთან შედარებით გავზარდოთ 800, ხოლო რძისა — 700 ტონით.

აღნიშნული და სხვა ღონისძიებების განხორციელებით ვეცდებით გამოვასწოროთ მდგომარეობა.

აჭარის ასსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. სალუქვაძე:

კომპეტენციადან დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები გარკვეულ მუშაობას ეწევიან მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის. 1988 წელს გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, მისი ნახევარფაბრიკატების, ძეხვისა და მოუხდელი რძის პროდუქტების გამოშვებისა და ბოსტნეულის წარმოების გეგმები.

საზოგადოებრივმა მეურნეობებმა დამზადების სახელმწიფოს ეს კულტურა. მანამ კი, ბაზარში მისი გაიაფების მიზნით, ხილზე გაცვლის გზით ჩრდილოეთ ოსეთიდან შემოგვაქვს 1000 ტონა კარტოფილი და იგი 20 კაპიკად მიეყიდება მომხმარებელს.

ახლა მთელი მუშაობა იქითკენ არის მიმართული, რომ გაზაფხულის ყოველი დღე მაქსიმალურად გამოვიყენოთ, აგროვადებში დამთავრდეს ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების თესვა, ხილის ბაღების მოვლა-პატრონობა, არის საშუალება, რომ მიეაღწიოთ მიზანს, გამოსწორდეს დაშვებული შეცდომები, მოსახლეობა დავაკმაყოფილოთ იაფად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ქაჯაია:

ქუთაისის ბაზრის სიძვირეს ისიც განაპირობებს, რომ აქაური ცენტრალური ბაზარი მდებარეობს ქალაქის ცენტრში. ადგილზე მისი გაფართოების შესაძლებლობა არ არსებობს. უკანასკნელ ხანს ქალაქის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო ბაზრის გამტარუნარიანობა, სავაჭრო ადგილების სიმეცრის გამო, დაბალია. ამიტომ აქ მოსახლეობის მოთხოვნილებებთან შედარებით ნაკლები რაოდენობის პროდუქცია იყიდება. ეს კი ფასებს ზრდის. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარში გამოიყო სპეციალური სათავსოები, რომლებშიც ახლომდებარე რაიონები შედარებით დაბალ ფასებში გაყიდიან თავიანთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ხელშეკრულება უკვე დადებულია 15 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობასთან.

ბაზრებში მოიწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემსყიდველ-სარეალიზაციო საწარმოს 3 ობიექტი, რომლებიც ბაზრის ფასებთან შედარებით ეფრო იაფად ყიდიან პროდუქტებს. აშენდა სასაწყობო მეურნეობა. ცეკავშირის გამგეობამ ბაზრების გაერთიანებას გამოუყო ავტოტრანსპორტი, რაც მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებს რაიონებში პროდუქტების შეძენასა და ქალაქის მოსახლეობისათვის მიყიდვას.

ბაზრის ფასების მოწესრიგებისათვის „ხილბოსტანგაჟრობის“ სისტემის 5 ობიექტი გადაყვანილია კოლექტიურ იჯარაზე. მიუხედავად გარკვეული დახმარებისა, მეტ ყურადღებას ვთხოვთ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს ხარისხიანი პროდუქციის უხვად გამოყოფის მხრივ.

ზუგდიდის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე მ. დემურია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები ვერ აწარმოებენ მეცხოველეობის იმდენ პროდუქციას, რომ სახელმწიფო გეგმაც შეასრულონ და საკოლმეურნეო ბაზარშიც გაყიდონ. ამას ისიც ემატება, რომ სუბტროპიკულ რაიონებში ყველაფერი ჩაის და ციტრუსებს დაეუმორჩილეთ. მაგალითად, ზუგდიდის რაიონში ყველაზე საუკეთესო ნიშნები ჩაის პლანტაციებს უკავია (8000 ჰექტარი), სახნავად კი 7000 ჰექტარია შემოგვრჩა. აქედანაც მომავალში 4000 ჰექტარი ისევ ჩაის უნდა დაეუთმოთ, ახალი პლანტაციები გავაშენოთ. ამის გათვალისწინებით 2000 წლისათვის პირუტყვის სამოვრად მიწა არ შემოგვრჩება.

ამ პირობებთან მიუხედავად აგროსამრეწველო გაერთიანებამ იჯარული მუშაობის ფორმების დანერგვის მხრივ გარკვეული ნაბიჯები მაინც გადადგა. ერთგვარი გავრცელება ჰპოვა მეცხოველეობის მიკროფერმებმა მოსახლეობაში. ამ ფერმებში ჰყავთ 10-20 ძროხა. მოიჯარენი პროდუქციის 50-60 პროცენტს საზოგადოებრივ მეურნეობებს აბარებენ, ხოლო დანარჩენს თავიანთი შეხვეულებისამებრ ჰყიდიან. აგროსამრეწველო გაერთიანებამ ამ მოიჯარეთა დასახმარებლად შექმნა რძის პროდუქტების გადამუშავების კოოპერატივი, რომელიც ყოველდღიურად მიკროფერმებიდან მოიჯარეების კუთვნილ რძეს შეისყიდის, მისგან ოჯახურ მაწონს დაამზადებს და საკოლმეურნეო ბაზარში გაყიდის. ამ მიზნისათვის ბაზარში აშენებულია კეთილმოწყობილი, 6-განყოფილებიანი მაღაზია. აქ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებსა ყოველდღიური გაფიციც არის დაწესებული სტანციათ-სანოვაგის. სარეალიზაციო ფასი თუმცა ეს მაღაზიაც ზნირად ცარიელია.

იმ უფლებების რეალიზაცია, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივ მეურნეობებში მოწეული ბოსტნეულის 30 პროცენტის გაყიდვის საშუალება გვეძლევა, საკოლმეურნეო ბაზარს ბევრს ვერაფერს მატებს. კარგი იქნება, თუ ასეთი უფლებები მოგვეცემა საგეგმო ხორცისა და რძის რეალიზაციის საქმეშიც.

თელავის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ლ. სასურაძინაშვილი:

თელავის საკოლმეურნეო ბაზარზე პროდუქტების სიძვირეს ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს. ძირითადი მიზეზი მაინც ის არის, რომ საზოგადოებრივი მეურნეობები ვერ უზრუნველყოფენ სახეობათა მიხედვით ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და ხილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულებას, რაიონში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. მეტი ყურადღება დაეთმო იჯარული შრომის განვითარებას, რაც-აც დადებითი გავლენა მოახდინა საკოლმეურნეო ბაზარზე. აქ ბუშტელმა, აკურელმა, რუსიპირელმა და სხვა მოიჯარეებმა სხვადასხვა სახეობის დიდძალი ბოსტნეული გაყიდეს. მაგრამ ეს ღონისძიება მაინც სეზონური ხასიათისა იყო.

რაიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უწყვეტ მომარაგებას ხელს უშლის ხილბოსტნეულის საცავის უქონლობა. წელს დაიწყო და მომავალ წელს დამთავრდება 2000 ტონა ტევადობის საცავის მშენებლობა. თითქმის წელიწადია, რაც ფუნქციონირებს ხილბოსტანგაჟრობის საიჯარო მაღაზია, რომელიც შეთანხმებული ფასებით ვაჭრობს. აქ წარმოდგენილი პროდუქცია ხარისხიანი და მრავალფეროვანია. აქვე ფშავლის კოლმეურნეობიდან სარეალიზაციოდ შემოდის კამეჩის მაწონი. ამგვარი მაღაზიის გახსნა გთავალისწინებულია აგროფირმა „ნაფარეულთანაც“. რაიონის ბაზარში, სამწუხაროდ, ძალიან ძვირია მეცხოველეობის პროდუქტები. მაგრამ უფრო ცუდი ის არის, რომ დღესდღეობით ზუგდიდის მეგმოსწორების რეალური საშუალება არა გვაქვს. კარგი იქნება, თუ საზოგადოებრივ მეურნეობებს უფლება მიეცემა ბაზარში გაყიდონ წარმოებული პროდუქციის 30 პროცენტი.

(1989 წლის 18 აპრილი, კილოგრამი პროდუქციის ღირებულება მანეთოლგით)

	ხორცი		ყველი (სახეობის მიხედვით)					
	საქონლის	ღორის		ძეფალური	კაჰეტიური	ქართული	სტავროპოლი	ვალერი
თბილისი	7	7	6-10	5-6	1.5	1.5	2	2-4
სოხუმი	7	6	7-10	5	1.5	1	2	2-4
ბათუმი	6	5	6-11	8-10	1-1.5	70ს.	1.5	2-3
ცხინვალი	–	–	5-6	8-9	1-1.5	40-70ს	1	1-1.5
ქუთაისი	6-7	5	6-10	2,5	1.60ს	80ს	2	2-3
ზუგდიდი	6	5	7-12	5-6	1-1.5	1-1.5	1	2-4

რედაქციისაგან: მკითხველი დღევანდელი ცხრილითაც იოლად დარწმუნდება, რომ საკოლმეურნეო ბაზრებს, წინა თვეების მსგავსად, აპრილშიც „ცეცხლი უკიდია“, რაც ძალზე მძიმე ტვირთად აწვება მშრომელთა ხოჯახო ბიუჯეტს. შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელთა კომენტარებით, რომლებსაც ამჯერად მცირეოდენი შემოკლებით და ყოველგვარი სარედაქციო კომენტარის გარეშე ვბეჭდავთ, იგი იმასაც მიხვდება, რომ უახლოეს მომავალში არც მდგომარეობის რადიკალურად შეცვლის იმედი უნდა გვქონდეს. და სწორედ ამის გათვალისწინებით საჭიროა ყველგან გადაუდებლად და უთუოდ გარდავქმნათ მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად, ადგილებზე ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ კარგი საფუძველი შევქმნათ წლევანდელი უხვი მოსავლის მისაღებად. მხოლოდ ამით შევძლებთ შექმნილი რთული მდგომარეობის გამოსწორებას. ეს საკითხი კვლავაც იქნება „კომუნისტის“ სისტემატური ყურადღების საგანი.

ვუგრუნდებით დაგეგმილს

ყველა საქმეს, კარგსა თუ ცუდს, თავისი ისტორია აქვს. ეს უიღბლო საქმე კი 1979 წლის თებერვალში დაიწყო. მაშინ ქალაქ მახარაძეში გაიმართა მეცნიერულობის განვითარებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც დაისახა ლიმონარიუმების ინტენსიური განვითარების გზები და საშუალებები. თათბირის ტრიბუნიდან შთამბეჭდავად ითქვა:

... მთავარი ყურადღება მივაპყროთ ლიმონის მოყვანის ინტენსიურ მეთოდებს. ლიმონარიუმების აგებისას გამოვიყენოთ იაფი და სიმედო კონსტრუქციები. სხვაც ბევრი რამ ითქვა მნიშვნელოვანი.

სწორედ ამის შემდეგ იყო, რეგმ 1982 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხიდმაღალას მეცნიერულობის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო ექსპერიმენტული ლიმონარიუმის მშენებლობა. თავიდანვე ითქვა, რომ მშენებლობის პროექტი მცდარი იყო. ამას ისიც დამატება, რომ მილიონობით მანეთის ღირებულების ნაგებობანი და კონსტრუქციები მშენებლებმა პირდაპირ ჭაობში ჩადგეს(?!), ნიადაგის ყოველგვარი დაშრობისა და მომზადების გარეშე, ხოლო დაშრობითს სამუშაოებსა და მიწის შეტანაზე მერე დაიწყეს ფიქრი...

გაზეთმა „კომუნისტმა“ დროზე ამხილა ეს და სხვა მრავალი მწვავე ფაქტი. 1985 წლის 17 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ბაღიდან — ლიმონარიუმებში“, სადაც მეცნიერული პოზიციებიდან, აგრეთვე პრაქტიკული გამოცდილებითაც დაგმობილი იყო ხიდმაღალას მეურნეობაში მოწყობილი ლიმონარიუმის მშენებლობაში დაშვებული გაუმართლებელი ხარვეზები, მშენებელთა დანაშაულებრივი დაუდევრობანი, რასაც მილიონობით მანეთი შეეწირა.

გავიდა წლები, მაგრამ გაზეთის კრიტიკას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია, არც მშენებლობა შეუჩერებიათ. პირიქით, უფრო ინტენსიურად განავითარეს, შემოზიდეს ძვირადღირებული გათბობის სისტემის ვებერტელა დანადგარები და „ჭაობში ჩასაყრელად“ გაამზადეს.

არადა, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ახალი მილიონების გადარჩენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და აი დღეს იძულებული ვართ დავუბრუნდეთ დაბეჭდილს.

შემოწმებისას ბევრი უსიამოვნო ფაქტი ვიხილეთ. ხიდმაღალას ექსპერიმენტულ ლიმონარიუმში ჩვენთან ერთად იყვნენ რესპუბლიკის სუბტროპიკული კულტურების განვითარებისა და მოვლა-პატრონობის ცნობილი მკვლევრები და სპეციალისტები. ყველანი სახტად დავრჩით, როდესაც თვალუწვდენელ ჭაობებში, ჰექტრობით გადაჭიმულ სასათბურე მეურნეობებში, დეფორმირებული კონსტრუქციები ვიხილეთ. ყველა კუთხე-კუნჭულში თვალის ერთი გადავლებითაც იგრძნობოდა, რომ ამ მეტად სათუთი კულტურის, ციტრუსოვანთა „მფლის“ — ლიმონის ნარგავთა გაშენებისა და განვითარებისათვის ბევრი არაფერი გაუკეთებიათ.

არადა, ჯერ კიდევ 1984 წლის 29 დეკემბერს შედგინეს ამ ობიექტის მიღების ფიქტიური აქტი, რომლის მიხედვითაც ხიდმაღალას ლიმონარიუმების სასათბურე ნაგებობანი სახელმწიფო ორგანოებში აღრიცხული როგორც დამთავრებული ობიექტი(?!).

შემოწმებამ ნათელყო, რომ ლიმონარიუმების სასათბურე ნაგებობათა პროექტი მებოსტნეობაში ჩითილების გამოსაყვანად საჭირო ნაგებობებისათვის არის განკუთვნილი. ნამდვილი პროექტი „სახშენს“ და „საქსოფლმშენის“ საპროექტო ინსტიტუტებ უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ ამის შედეგნა გააქიანურეს და ბოლოს ბათუმის ფილიალს მიანდეს. აქ კი პროექტანტებმა იოლი გზა აირჩიეს — ხაზი გადაუსვეს სიტყვას „ჩითილებისათვის“ და დაწერეს „ლიმონარიუმებისათვის“. ასე შეკოწიწებულმა პროექტმა კი მილიონობით მანეთიც გვაზარალა.

მსგავსი დარღვევები ვნახეთ აგრეთვე პატარა ფოთის ლენინური კომკავშირის სახელობის მეციტრუსეობის მეურნეობის ლიმონარიუმების მშენებლობაზე. აქ წლების განმავლობაში ნაგებობათა სახეურავი ვერ დაამაგრეს, რამდენჯერაც გადახურეს, 2-3 დღეში წაიღო ქარმა, მშენებლები კი ადრეც იჩენდნენ მხრებს: რა ვქნათ, პროექტისაგან გადახვევის უფლება არა გვაქვს, თორემ ეს ნაგებობანი ლიმონარიუმისათვის რომ უვარგისია, განა ვერ ვატყობთ?

ყოველივე ამის შესახებ განმეორებით წერდა „კომუნისტი“ თავის 1986 წლის 13 ივლისის ნომერში. მას შემდეგ 3 წელი გავიდა, ვფიქრობდით, რომ ახლა მაინც მოვიდოდნენ გონს მშენებლები, აღიარებდნენ თავიანთ შეცდომებს. ჩვენ ხომ აღნიშნულ კრიტიკულ წერილში დავარწმუნეთ ისინი, რომ ასეთთანობით მანეთად ღირებული გამობობნაგებობათა ლიმონარიუმებში დამონტაჟება მეორე უფრო დიდი დანაშაული იქნებოდა. სპეციალისტების გაანგარიშებით იმისათვის, რომ მარტო პატარა ფოთის ლიმონის 7 ჰექტარ სათბურში ნორმალური ტემპერატურა იყოს, ყინვისან ამინდში გამთბობ დანადგარებს ერთ დღე-ღამეში 52 ტონაზე მეტი საწვავი სჭირდება. თოვლმა და ყინვამ ერთი კვირა რომ გასტანოს, რა საშუალებით უნდა შემოზიდონ ასეულობით ტონა საწვავი? განა ამაზე ვინმეს არ უნდა ეფიქრა?

ალბათ იფიქრეს კიდეც, მაგრამ, როგორც ჩანს, იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს, რომ პატარა ფოთისა და ხიდმაღალას ლიმონარიუმების ფარდალალა, გადაუხურავ ნაგებობებში ძვირადღირებული გამთბობი აგრეგატ-დანადგარები დაემონტაჟებინათ. აი, ასე უკუღმა ესმით გაზეთის კრიტიკული შენიშვნები.

ახლა ბარემ ისიც ვიკითხოთ, ვინ იყო დამკვეთი და ვინ აშენებს ამ სავალალო ლიმონარიუმებს?

დამკვეთია საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომიტეტის მშენებარე საწარმოების გაერთიანებული დირექციის ქუთაისის ზონალური სამმართველოს უფროსი ა. ხახანაშვილი, რომელიც ისევ აღადგენს თავის თანამდებობაზე(?!). რატომ, რის საფუძველზე?

ახლა გავეცნოთ ერთ დოკუმენტს — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის 1989 წლის 24 თებერვლის №1/14 — 2 — 132 ბრძანებას ლანჩხუთის რაიონის ხიდმაღალას მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის ექსპერიმენტული ლიმონარიუმის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ.

ბრძანებაში ვკითხულობთ: „აღინიშნოს, რომ ლანჩხუთის რაიონის ხიდმაღალას მეციტრუსერის საბჭოთა მეურნეობაში 1982 წელს დაიწყო ექსპერიმენტული ლიმონარიუმების მშენებლობა, რომელსაც აწარმოებდა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლმონტაჟკომპლექტის“ ფოთის №13 მოძრავ-მექანიზებული კოლონა.

საინტერესოა რა გული უთმენთ, როცა მათ თვალწინ სასათბურე შენობის გადაუხურავ კონსტრუქციებს ქარი წარამარა ანგრევს. გადახურვა შეუძლებელია, რადგან მაშინ სულ მიწასთან გაასწორებს. მაშ რამ აიძულათ დამკვეთნი და მშენებლები, რომ ამ ყოვლად უპერსპექტივო საქმეს წლებიც შეალიეს და მილიონობით მანეთიც?

საკვირველია შედეგიც: როგორც საქმის მასალებით ჩანს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა თანამდებობიდან გადააყენა მშენებარე საწარმოთა გაერთიანებული დირექციის ქუთაისის ზონალური სამმართველოს უფროსი ა. ხახანაშვილი, რომელიც ისევ აღადგინეს თავის თანამდებობაზე(?!). რატომ, რის საფუძველზე?

ახლა ბარემ ერთ დოკუმენტს — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის 1989 წლის 24 თებერვლის №1/14 — 2 — 132 ბრძანებას ლანჩხუთის რაიონის ხიდმაღალას მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის ექსპერიმენტული ლიმონარიუმის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ.

ბრძანებაში ვკითხულობთ: „აღინიშნოს, რომ ლანჩხუთის რაიონის ხიდმაღალას მეციტრუსერის საბჭოთა მეურნეობაში 1982 წელს დაიწყო ექსპერიმენტული ლიმონარიუმების მშენებლობა, რომელსაც აწარმოებდა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლმონტაჟკომპლექტის“ ფოთის № 13 მოძრავ-მექანიზებული კოლონა. (საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2.847 ათასი მანეთი, აქედან შესრულებულია სამუშაოები 2.351 ათასი მანეთის მოცულობით). მშენებლობა ამჟამად შეწყვეტილია. შესრულებული სამუშაოები უხარისხოა, დაშვებულია პროექტიდან სერიოზული გადახვევები. კერძოდ, სადრენაჟო სისტემის უარსებობა და არასრულყოფილად ნოწყობის გამო ამ ფართობზე ვერ შეიქმნა ლიმონის კულტურის განვითარებისათვის აუცილებელი მკლიორაციული ფონი... სადრენაჟო სისტემამ ვერ უზრუნველყო ნიადაგური და ზედაპირული წყლების მოცილება. დაიწყო განმარტებითი დაჭაობება, რის გამოც შეუძლებელი გახდა ლიმონის კულტურის „გაშენება“ (სტილი აქაც და სხვაგანაც დაცულია— ბ. ჩ.).

როგორც ამ ბრძანებაში შემდეგ ვკითხულობთ, დაშვებული ხარვეზების გამოსასწორებლად „საქაგრომშენის მესვეურე ბმა „საქაგრომშენპროექტს“ დაავალეს დამატებით შეედგინათ მელიორაციულ სამუშაოთა პროექტი.

რას ითვალისწინებდა ახალი პროექტი?

წლების განმავლობაში ნაოფლარ-ნაჯაფარის მთლიან დემონტაჟს, — ლიმონის კარკასების, ყველა დანადგარ-მოწყობილობის მოხსნას და შემდეგ მშენებლობის თავიდან დაწყებას. მაგრამ ეს დანადგარ-მოწყობილობა ნ ი იმდენად უვარგისია, რომ უბრალო შეხებითაც ინგრევა. როგორც იქნა შეელივნენ მშენებლობის განგრძობის „იდეას“. მაგრამ დახარჯული მილიონები? ამაზე ამ ბრძანებაში ასეა მითითებული: „მშენებარე საწარმოების გაერთიანებულმა დირექციამ აიღოს შემოსავალში ლიმონარიუმის ტერიტორიაზე დამთავრებული 338,4 ათასი მანეთის ღირებულების შენობა-ნაგებობანი, აგრეთვე ნიადაგის გაუმჯობესებისათვის ჩატარებული ღონისძიებები 340 ათასი მანეთის ღირებულებით და ბალანსიდან ბალანსზე გადასცეს ხიდმაღალას მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობას“.

მაგრამ რაღა იყო გადასაცემი. ადგილზე ვნახეთ ნახევრად დანგრეული ნაგებობანი, რომლებიც მთლიანად დალეწილია, არც კარი აქვს, არც ფანჯრები. წლების მანძილზე პირუტყვის სადგომად არის გამოყენებული და წელამდე ნაკელი და წუმპე დგას. მეორე აბსურდი — ხიდმაღალას ლიმონარიუმში ნიადაგის გაუმჯობესებაზე ლაპარაკი შეიძლება? ერთი ძირი ლიმონიც ვერ დარგეს და გაახარეს, ჭაობის მცენარეები ეს, იცოცხლეთ, დაშრობის გარეშეც ჩინებულად ხარობენ. ამას შეალიეს უზარმაზარი თანხებიო? — კითხულობენ გაოცებული ხიდმაღალას მეურნეობის მშრომელები, არც გაემტყუნებათ.

ამ ყოვლისმომცველ ბრძანებაში „ქვა-ქვაზე არ დატოვეს“. მშენებლობაში დაშვებული „უხეში დარღვევებისათვის“ კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე თ. ჩხეკვაძე მკაცრად გააფრთხილეს“, მასვე დაავალეს მასალების პ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ, რესპუბლიკის სხვა ქალაქების საწარმოებში გრძელდება შრომითი კვირა, იმაზე, თუ რამდენად შეთანხმებულად, რიტმულად წარიმართება ეს ერა, როგორი იქნება კოლექტივების შრომითი განწყობა, ბევრად არის დამოკიდებული ვითარების სტაბილიზაციის დაწყებული პროცესის დამკვიდრება, ცხოვრების ჩვეულებრივ კალაპოტში ყველა ჩვენგანის დაბრუნება.

თბილისის საშინ მასალათა კომბინატი ცნობილია თავისი სახელოვანი ტრადიციებით. პროდუქცია, რომელსაც აქ უშვებენ, საჭირო რგოლია ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემის გადაჭრაში — ყველა იმათი ბინით უსწრაფესად დაკმაყოფილებაში, რომელიც ომის ხარისხი, ახალ კარგად არის ცნობილი რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის. იშვიათია, რომ რომელიმე ტურისტმა არ იყიდოს გაერთიანების საფირმო ნიშნიანი ლამაზი, მოდური ნაწარმი.

დამდგარი საგაზაფხულო-საზაფხულო სეზონისათვის აქ თითქმის მთლიანად განაახლეს პროდუქციის ასორტიმენტი. აი 18 აპრილსაც საწარმოს აგრეგატებიდან ჩამოვიდა ოსტატთა მარჯვე ხელით დამზადებული ახალი მოდელის ტანსაცმელი. მეტრიკოტაჟეთა მთელ კოლექტივს, აქ კი უმრავლესობა ქალია, სურს ნაწარმი რაც შეიძლება მალე მოხვდეს მომხმარებლებთან.

ჩვენი მოვალეობაა, — თქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ბრიგადირმა ევგენია ლაზიაშვილმა, — ადამიანებს ლამაზად და იაფად ჩავაცვათ. იმაზე, თუ როგორ ვართმევთ თავს ამ ამოცანას, დაე, მყიდველმა იმსჯელოს, ოღონდ იმას კი ვიტყვი, რომ წლის დამდეგიდან არც ერთი რეკლამაცია არ მიგვიღია, ვიშრომთ კეთილსინდისიერად, მაქსიმალური უკუგებით — აი, რა არის ახლა მთავარი. ამას ვამბობ მთელი ჩვენი შრომელი ქალების, დედების სახელით, განსაკუთრებით მწვავედ რომ განიცდიან მომხდარ ტრაგედიას.

* * *

მშენებლებმა, რომლებიც თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაფართოებაზე მუშაობენ, ამ კვირაში დაიწყეს ახალი ენერგობლოკის საქვაბე აგრეგატის აწყობა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ნაწილობრივ გადავწყვიტოთ სომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერებასთან დაკავშირებული ელექტროენერგიის დეფიციტი.

შეთანხმებულად, რიტმულად შრომობენ მემონტაჟეები, სხვა სპეციალობათა მუშები. ისინი აპირებენ დაიჩქარონ სამუშაოთა მიმდინარეობა და ხუთწლედის დამლევამდე ამოქმედონ დამატებითი სმლაკვონენი, რომლებსაც შეუძლიათ ერთიორად გაზარდონ რესპუბლიკის ამ უდიდესი თბოსადგურის ენერგეტიკული პოტენციალი. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲣᲨᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ, ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲜᲐ ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ:

— ჩვენი რაიონის საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. ზუსტად გრაფიკის მიხედვით მუშაობენ სამრეწველო საწარმოები, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციები, სადაც წარმოების მუშაკთა სამუშაოზე გამოსვლამ 93 პროცენტს გადააჭარბა. მუშაობს ყველა სამრეწველო საქონლისა და სურსათ-სანოვაგის მაღაზია, რომლებსაც შეუფერხებლივ ამარაგებენ საჭირო საქონლითა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

პირველად ტრაგიკული ამბების შემდეგ განახლდა მეცადინეობა სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიისა და თეატრალური ინსტიტუტის აუდიტორიებში, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ უკანასკნელში ლექციებზე დასწრება კარგი იყო. სრულფასოვნად ფუნქციონირებს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი დაწესებულება. „დაისის“ დადგმით განახლდება საოპერო თეატრის საქმიანობა.

ვითარების ნორმალიზაცია იმის შედეგია, რომ თავის მოქალაქეობრივ მოვალეობებს „შეჯნიზულად, პასუხისმგებლობით ეკიდება რაიონის მოსახლეობის ყველა ფენა, ამას ახმარს თანამიმდევრულად თავის მეცადინეობას მისი საზოგადოებრიობა, პარტიული და საბჭოთა აქტივი. ამის მიღწევა კი არც ისე იოლი საქმე იყო, როდესაც დრამატიული ამბები, რომლებმაც რესპუბლიკა შეძრა, სწორედ ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე მოხდა. ამიტომ კანონზომიერია, რომ მისი მცხოვრებნი პირველები გამოეზმაურნენ ვითარების სტაბილიზაციის მოწოდებას, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნეს წესრიგის დაცვის ოპერატიული ჯგუფები. მთელი დღე-ღამის განმავლობაში მორიგეობენ, ინფორმაცია კი თავს იყრის შტაბში.

ამგვარად პარტიის რაიონული კომიტეტის მთელი აქტივი მუშაობს ადგილებზე: იმართება შეხვედრები, დისკუსიები და საუბრები რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, ყველა შრომითს კოლექტივში. ჩვენს მეცადინეობას უყოყმანოდ უჭერენ მხარს ცენტრალური ტელეკრიფის მშრომელები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის, ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკისა და სხვა სახალხო-სამეურნეო ობიექტების მუშაკები, რომლებსაც არც ერთი დღით არ შეუწყვეტიათ თავიანთი შრომითი საქმიანობა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

— ყველა ჩვენი აზრი დღეს დაკავშირებულია თბილისში შექმნილ ვითარებასთან. რაიონის მშრომელებს თავიანთ ამოცანად ისიც მიიჩნიეთ, რომ არ შექმნან პრობლემები დედაქალაქის მომარაგებასთან დაკავშირებით. დაწყებული 18 აპრილიდან და თვის ბოლომდეგ გურჯაანელები თბილისელებს მოაწვდიან ას ტონაზე მეტ ხორცს. ჩვენთან რაიონში შეიქმნა 18 გაერთიანებული ტერიტორიული პარტიული კომიტეტი. მათი მდივნების თათბირზე, რომელიც ეს-ეს არის დამთავრდა, ჩვენ დავსახეთ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოთ ყველა საშეურნეო რგოლის შეუფერხებელი მუშაობა, საქმეში მოვაქციოთ მთელი რეზერვები.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚ-ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲗᲘ:

— ამჟამად რაიონის მშრომელები მუშაობენ დასვენების დღეების გარეშე, გაზაფხულის გრაფიკით. ვცდილობთ თბილისსა და რუსთავს მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ბოსტნეული და მწვანილი, კვერცხი, ქათამი, ხორცი. მეურნეობებში იმართება პარტიული აქტივისტების მეზვედრები ამრეველებთან, კრებები, იხილავენ პლენუმის შედეგებს,

ᲓᲔᲓᲐ—ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲠᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ

18 Ა�პᲠᲘᲚᲘ თბილისის რაიონული ქალთა საბჭოების თავჯდომარენი შეიკრიბნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარის მოადგილესთან ნინო ქევანიასთან, რომელიც ამავე დროს თბილისის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეც არის.

ძნელია უცრემლოდ საუბარი, ითქვა კრებაზე, მით უფრო დასკვნების გამოტანა, მაგრამ მოსავალ თაობაზე ზრუნვაც საჭირო საქმეა. ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება — ყველა ქალი, დედა, მეუღლე, და, როგორც ყოველთვის, წინ წარუძღვეს შვილებსა და ძმებს, მოუწოდოს მათ კეთილგონიერებისაკენ. საკუთარ თავზე აიღოს მათი სიმშვიდე, რათა აღარ განმეორდეს უბედურება, აღარ დაითალოს მრავალ ჭირთმთქმელი ქართველი ქალი.

9 აპრილს გამოყენებული ქიმიური საშუალებებით მოწამლულთ სასწრაფო შველა სჭირდებათ. ქალთა საბჭოს კრებზე ითქვა და დამტკიცდა, რომ დაუყოვნებლივ დადგინდეს მომწამლავი ნივთიერების შემადგენლობა, გამოიძებნოს ყველა საშუალება მოწამლულთა გაჯანსაღებისათვის, რაც მთავარია, მკაცრად დაისაჯონ ისინი, ვინც მათი გამოყენების ნება დართო.

დღეს სწორედ ქალებს მოგვეთხოვება უდიდესი სიმტკიცე და მოთმინება, — თქვა ნინო ქევანიამ, — ჩვენ უნდა წარვმართოთ ჩვენი შვილების მომავალი.

კმარა მსხვერპლი! თითოეული საფლავი მოურჩენელი იარაა მამულისა, დედისა.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ: 17 Ა�პᲠᲘᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲫᲦᲒᲠᲝᲡ ᲮᲐᲖᲘᲗ

ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ — ᲑᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲥᲣᲠᲓᲐ.

ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ. ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲜᲛᲨᲠᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 18 აპრილი. მთავრობის სახლის წინ მოედანზე მხოლოდ ყვავილების ზღვა თუ მოაგონებდა ადამიანს იმას, რაც განიცადა დედაქალაქმა ცოტა ხნის წინ. ისე კი გაზაფხულის მზით განათებულ ქუჩებს მხოლოდ დილით გაუმქრალი კომენდანტის საათის ნიშან-წყალიც კი არ ეტყობოდა. ქუჩებში მარშრუტით დაქროდნენ ავტობუსები, გაისმოდა სკოლის ზარი, გუგუნებდნენ ჩარხები საწარმოებში, დისახლისები იმარაგებდნენ პროდუქტებს, ბავშვები ბურთს თამაშობდნენ. ერთი სიტყვით, ქალაქი ჩვეულებისამებრ სუნთქავს, რაშიც დაარწმუნდით, როცა ასობით კილომეტრი გავიარეთ მის ქუჩებში.

შაუმიანის პროსპექტზე ჩვენი ყურადღება მიიპყრო წითელსამკლაურებიანმა ხუთმა კაცმა. გამოვიკითხეთ, იყო თუ არა ექსცესები მორიგეობის დროს?

